7099/3-128/23 2 25092023

7099/3-128/23
25-09-2023

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
გრიგოლ ლილუაშვილი

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2023 წლის 18 სექტემბერს გააკეთა საჯარო განცხადება რომ, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა.“

გთხოვთ, გვაცნობოთ რომელი მუხლებით მიმდინარეობს გამოძიება, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში რამდენი პირი იქნა გამოკითხული, რა ეტაპზეა გამოძიება და რა ღონისძიებები გაატარა სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახურმა გამოძიების ფარგლებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეიმურაზ ჯანაშია